საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES

№ 08/30-09 „16" 04 2018 წ

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანის ბრძანება № 8/2018

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის № 75/01-01, 13.04.2018 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა (ბაკალავრიატი-მაგისტრატურა) საუნივერსიტეტო დაფინანსების ოდენობის განსაზღვრისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2016 წლის 27 ოქტომბრის სხდომაზე დამტკიცებული (ოქმი #7) „ფაკულტეტის სტუდენტთაგან (ბაკალავრიატი-მაგისტრატურა) საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის წესის" საფუძველზე

ვბრძანებ

1. 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის საუნივერსიტეტო დაფინანსებიდან (ბაკალავრიატი-მაგისტრატურა) უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით (№ 75/01-01, 13.04.2018) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისათვის გამოყოფილი თანხა (36 260 ლარი;) გაიცეს ამავე ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტთა სწავლის საფასურის დაფინანსებისათვის;
2. საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევა განხორციელდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთაგან (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) საუნივერსიტეტო დაფინანსებისთვის კანდიდატთა შერჩევის წესის შესაბამისად (იხ. დანართი);
3. დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევა განახორციელოს ფაკულტეტის საკონკურსო კომისიამ შემდეგი შემადგენლობით:
   ა) მარინა ბურძენიძე – დეკანის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე
   ბ) ვალერი მელიქიძე – დეკანის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

ილია ჭავჭავაძის გამზ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 229 05 94 Tel.
ფაქსი: +(995 32) 229 05 94 Fax.
ელ-ფოსტა: social@tsu.ge; E-mail

გ) თეონა მატარაძე – სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი

დ) ზურაბ დავითაშვილი – პროფესორი

ე) გიორგი გოგსაძე – პროფესორი

ვ) იაგო კაჭკაჭიშვილი – პროფესორი

ზ) მალხაზ მაცაბერიძე – პროფესორი

თ) ხათუნა მაისაშვილი – ასოცირებული პროფესორი

ი) მედეა უშარაული – სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი

4. დაფინანსება არ შეეხება სახელმწიფო სამაგისტრო გრანტისა და სხვა ტიპის გრანტით სრული დაფინანსების მქონე და დამატებითი სემესტრის სტუდენტს;
5. დაფინანსებისათვის სტუდენტთა განცხადებები მიიღება 16 აპრილიდან 20 აპრილის ჩათვლით, VI კორპუსის № 207 ოთახში (მაგისტრატურის განყოფილება);
6. ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა (მაგისტრატურის განყოფილება) უზრუნველყოს დაინტერესებულ პირთათვის ბრძანების გაცნობა და თვალსაჩინო ადგილზე განთავსება.
7. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი,

ასოცირებული პროფესორი ფ. დოლბაია

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთაგან (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) საუნივერსიტეტო დაფინანსებისთვის კანდიდატთა შერჩევის წესი

1. საუნივერსიტეტო დაფინანსება (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) ითვალისწინებს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტთა სწავლის საფასურის სემესტრულ დაფინანსებას.

2. საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევა ხორციელდება

სტუდენტთა აკადემიური შედეგების (ყველა ჩაბარებულ საგანში მინიმუმ 81 ქულისა და მეტის საშუალო არითმეტიკული), სამეცნიერო აქტივობებისა და წინა სემესტრში შესრულებული მინიმუმ 30 კრედიტის საფუძველზე.

3. ყოველი სემესტრისთვის დასაფინანსებელი ადგილების რაოდენობისა და თანხის ზუსტი პროცენტი, თსუ–დან გამოყოფილი თანხის გათვალისწინებით, დადგინდეს ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით.

4. აკადემიური შედეგებისა და სხვა აქტივობების საფაკულტეტო რეიტინგული მონაცემები დაანგარიშდეს 100 ქულიანი სისტემით:

ა) **აკადემიური მოსწრება** - შეფასდება 80 ქულით, რომელიც გამოითვლება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში წინა სემესტრში სასწავლო კურსებში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით, რომელიც გამრავლდება 80–ზე და გაიყოფა 100–ზე.

ბ) **სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება** - შეფასდება მაქსიმუმ 10 ქულით. ჩაითვლება წინა სემესტრში გამოქვეყნებული ნაშრომები.

2 ქულა - პუბლიკაციები ქართულ ან უცხოურ, ბეჭდურ ან ელექტრონულ სამეცნიერო გამოცემებში;

3 ქულა - პუბლიკაციები ქართულ ან უცხოურ ბეჭდურ, ან ელექტრონულ რეცენზირებად/რეფერირებად პერიოდულ სამეცნიერო გამოცემებში.

გ) **სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობა** - შეფასდება მაქსიმუმ 10 ქულით ჩაითვლება წინა სემესტრში ჩატარებული კონფერენციები.

1 ქულა - საქართველოში შესაბამისი ფორმალური მხარდაჭერით ორგანიზებულ სტუდენტურ საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა;

2 ქულა - თსუ-ს საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა;

3 ქულა – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა და თსუ–ს საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო კონფერენციებში გამარჯვება.

დ) II სემესტრის მაგისტრანტს მოეთხოვება მხოლოდ კონფერენციაში მონაწილეობა

ე) III და IV სემესტრის მაგისტრანტს მოეთხოვება როგორც კონფერენციაში მონაწილეობა, ასევე სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება.

5. I სემესტრის სტუდენტის დაფინანსება (პროგრამაზე 1 ადგილი) განხორციელდეს სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის დაწესებულ სპეციალობის გამოცდაზე მიღებული უმაღლესი შეფასების (არანაკლებ 81 ქულა) საფუძველზე.

6. დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევას ახორციელებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული საკონკურსო კომისია.

7. საკონკურსო კომისია იხელმძღვანელებს სტუდენტის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით. ბეჭდური გამოცემის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს პუბლიკაციის ასლი, თავფურცლისა და სარჩევის დართვით; კონფერენციაში მონაწილეობის შემთხვევაში – კონფერენციის პროგრამა და მონაწილის სერტიფიკატი.

8. დაფინანსება არ შეეხება სახელმწიფო სამაგისტრო გრანტისა და სხვა ტიპის გრანტით სრული დაფინანსების მქონე და დამატებითი სემესტრის სტუდენტს.

9. სტიპენდიით დასაფინანსებელ სტუდენტთა სიას, ფაკულტეტის დეკანი საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე, დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.

10. დაფინანსების წესი ძალაში შევიდეს 2017 წლის 1 იანვრიდან და ძალადაკარგულად ჩაითვალოს 2015 წლის 26 მარტის (ოქმი№3) ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება

შენიშვნა 1:

წინა სემესტრის პერიოდი ჩაითვლება ადმინისტრაციული რეგისტრაციის დაწყებიდან მომდევნო სემესტრის დაწყებამდე.

დამტკიცებულია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2016 წლის 27 ოქტომბრის სხდომაზე (ოქმი №7)